პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალური მონაცემების დაცვა საგანმანათლებლო სფეროში







საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავს იყრის დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემები, რომელებიც უნდა დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა. მონაცემთა დაცვის კუთხით, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები განსხვავებული სირთულეების წინაშე დგანან.

გზამკვლევი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავებისას საქართველოს კანონმდებლობით და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) გათვალისწინებული წესებისა და სტანდარტების შესახებ პედაგოგებისა და საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულ სხვა პირთა ინფორმირებას, ცნობიერების ამაღლებას მათი პროფესიული საქმიანობისას მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რაზომ აქვს საბანმანათლებლო დაწესებულებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ვალდებულება?

საგანმანათლებლო დაწესებულება (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო/კერძო დაწესებულება, საჯარო/კერძო სკოლა, კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი) საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად ამუშავებს მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სისტემაში დასაქმებული პირების მონაცემებს. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა მუშავდებოდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

საგანმანათლებლო დაწესებულების/მისი წარმომადგენლის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მოპოვებული, შენახული, გადაცემული თუ სხვაგვარად გამოყენებული ინფორმაცია, რომელიც იძლევა კონკრეტული პირის იდენტიფიცირების საშუალებას პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს, ხოლო ის ვის შესახებ ინფორმაციაც მუშავდება - მონაცემთა სუბიექტია.



მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება პერსონალი მონაცემების დამუშავებაა.

საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად - დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს.

საგანმანათლებლო დაწესებულებები საქმიანობის განხორციელებისას იყენებენ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებს emis-ს და onlineschool.emis.ge-ს, სადაც ინახება მოსწავლის პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, კლასი, სოციალური სტატუსი, დასწრება, შეფასება, აქტივობა და მოსწავლის მიერ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული მონაცემები. მოსწავლის მონაცემები ასევე ინახება მატერიალურად. მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება იწყება მათი სკოლაში რეგისტრაციის ეტაპიდან და გრძელდება სასწავლო პროცესის მანძილზე, ხოლო გარკვეული მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაბამისი ვადით ინახება სკოლის დასრულების შემდეგაც. საგანანმანათლებლო პროცესში მოსწავლის შესახებ ინფორმაციის უმეტესობა პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს, რომლებსაც მის სხვა აქტივობებსა თუ მიღწევებზეც ექნება გავლენა.

რა ვალდებულებები აქვს საბანმანათლებლო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი აქტებიდან ბამომდინარე?

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა მოიპოვონ, რომელიც მათ მიერ საქმიანობის განსახორციელებლადაა აუცილებელი, კერძოდ:

- *სასწავლო პროცესის შეუფერხებელი და უსაფრთხო მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად;*
- *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების მისაღებად (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად უნდა დამუშავდეს, აღნიშნული მოიაზრებს ამ მონაცემების მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევებსაც);*
- *მოსწავლეთა აღრიცხვის, შეფასების, მობილობის უზრუნველსაყოფად;*
- *ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად;*
- *კვალიფიციური კადრების შერჩევის, დანიშვნისა და შრომითი ურთიერთობებისთვის.*



დაწესებულებამ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებამდე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად უნდა შეაფასოს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების საფუძველი. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

- *მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობითვეა დასაშვები თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით;*

- *„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;*

- *მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისთვის;*

- *საქართველოს კანონმდებლობით საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;*

- *მონაცემთა სუბიექტთან გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ან მასთან გარიგების დასადებად.*

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით არის განსაზღვრული, რომელიც აყალიბებს კანონიერი დამუშავების წინაპირობებს. არასრულწლოვანი პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის თანხმობა შესაძლოა განაცხადოს მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა წერილობითი ფორმით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დაწესებულებებმა საბანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებისას:

- *უნდა დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობა, არ გამოიყენონ მონაცემები პირადი/არასამსახურებრივი მიზნებისთვის;*

- *არ გახადონ მონაცემები ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირებისთვის. პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ კონკრეტული პირებისთვის, შესაბამისად დაწესებულებებმა მსგავსი ინფორმაცია არ უნდა განათავსონ სხვებისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ადგილას, არ უნდა გაუმჟღავნონ ეს ინფორმაცია მესამე - არაუფლებამოსილ პირებს;*

- *მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.*

საბანმანათლებლო დაწესებულებებმა, მისმა წარმომადგენლებმა:

- *უზრუნველყონ მართვის საინფორმაციო სისტემებში შეტანილი მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა განაახლონ. არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს ან წაიშალოს;*

- *სკოლაში გამოყენებულ ელექტრონულ რესურსებთან ან/და სისტემასთან და მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომისათვის გამოიყენონ განპიროვნებული მომხმარებლის სახელი (Username) და პაროლი;*

- *უზრუნველყონ მომხმარებლის სახელისა და პაროლის კონფიდენციალურობა, არ უნდა გაუზიარონ აღნიშნული ინფორმაცია მესამე პირს და არ გახადონ ის სხვაგვარად ხელმისაწვდომი;*

- *არ დატოვონ უყურადღებოდ ჩართული ელექტრონული მოწყობილობები სხვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;*

- *გამოიყენონ რთული და სხვადასხვა ელექტრონული სისტემისთვის განსხვავებული პაროლები, რომლებიც პერიოდულად უნდა განაახლონ;*

- *სასწავლო პროცესის მიზნებისთვის ისარგებლონ მხოლოდ ოფიციალური ელექტრონული რესურსებით და არ გამოიყენონ საგანმანათლებლო პროცესში მონაცემთა დამუშავებისთვის პირადი ელ-ფოსტა, სოციალური პლატფორმები;*

- *სოციალურ ქსელში არ გაასაჯაროონ მოსწავლეთა და დასაქმებულთა შეფასება თუ სხვა მახასიათებლები (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ყოფაქცევა, სოციალური მდგომარეობა და სხვა).*

საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებული თითოეული პირი ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა საგანმანათლებლო სფეროში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

მონაცემები მხოლოდ იმ ვადით უნდა დამუშავდეს, რაც საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფისთვის არის საჭირო. ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა შენახვის ვადები კანონმდებლობითაა განსზღვრული.

საბანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან:

- *დანიშნონ/განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;*

- *მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია გამოაქვეყნონ ხელმისაწვდომი წყაროს (მაგალითად, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელში - გვერდის ინფორმაციის ველში) საშუალებით;*

- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია 10 სამუშაო დღის ვადაში ასევე მიაწოდონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.*

რა უფლებები აქვთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და საბანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით?

პირს ვის შესახებ პერსონალური მონაცემებიც მუშავდება (არასრულწლოვნების შემთხვევაში, მის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს) უფლება აქვს:

- ✓ **მიიღოს ინფორმაცია:**

  - ვინ ამუშავებს მათ ან/და მათი შვილების პერსონალურ მონაცემებს (ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია);
  - რა მიზნით და სამართლებრივი საფუძვლით ამუშავებენ მის შესახებ ინფორმაციას;
  - ვის გადაეცემა მათი ან/და მათი შვილების პერსონალური მონაცემები.

- ✓ **ბაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალური მონაცემებს და მიიღოს მათი ასლი;**

  არასრულწლოვანის სახელით მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლების განხორციელებისას, გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები საქმის გარემოებიდან გამომდინარე;



- ✓ **მოითხოვოს მონაცემთა ბასწორება, ბანახლება, შევსება;**
- ✓ **მოითხოვოს მონაცემთა წაშლა და ბანადგურება;**
- ✓ **მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა;**
- ✓ **ბამოიხმოს მონაცემთა დამუშავებაზე ბანცხადებული თანხმობა;**
- ✓ **მოითხოვოს მონაცემთა ბადაგზანა;**
- ✓ **მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებასთან დაკავშირებით.**

დაწესებულება ვალდებულია მიიღოს ყველა ორგანიზაციული და ტექნიკური ზომა მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მაგალითადი დოკუმენტების შენახვა უნდა მოხდეს დაცულ ადგილას.

რა არის ინციდენტი და რა ვალდებულებები ბაარჩნია საბანმანათლებლო დაწესებულებას მისი აღმოჩენისას?

ინციდენტი, ე.ი პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევა, რომელიც იწვევს პერსონალური მონაცემების დაზიანებას, დაკარგვას, უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, წვდომას, შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას, შესაძლოა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის, მონაცემთა სუბიექტისთვის აღნიშნულის თაობაზე ინფორმირების ვალდებულებას წარმოშობდეს.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ინციდენტის აღმოჩენისთანავე უნდა დაიწყოს ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობისა და სიმძიმის შეფასება, და ინციდენტის აღმოჩენიდან 72 საათის განმავლობაში შეატყობინოს სამსახურ აღნიშნულის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება საგანმანათლებლო დაწერსებულებას არ წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ დაბალია ალბათობა იმისა რომ ინციდენტს მნიშვნელოვანი ზიანი/საფრთხე მოყვება.

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხებზე საბანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ წერილობითი ან/და ზეპირი კონსულტაცია (სამსახურის ოფისში ვიზიტის, საფელეფონო კომუნიკაციის გზით) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან.



WWW.PDPS.GE

თბილისი, ნ. ვაჩნაძის N°7, 0105

ბათუმი, ბაქოს ქ. N°48, 6010

+995 32 242 1000

OFFICE@PDPS.GE